34(05)
ა-54.

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1933 წლის ნოემბრის 30	№ 20-21 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხლი 169. შრომის საგზაო ბეგარის დებულების შეცვლის შესახებ.

170. სარეწაო კოოპერაციაში შეგირდობის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 26-ის და 1929 წლის ივნისის 10-ის დადგენილებების გაუქმების შესახებ.

171. ნარჩენთა გადახდევინებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვის შესახებ.

172. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებისათვის 27 მუხლის „ი“ პუნქტისა და 56^1, 56^3, 56^3, 56^4, და 56^5 მუხლების დამატების შესახებ.

173. ა/კსფსრ-ის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის საჭირო დახმარების ფონდების დებულების შეცვლის შესახებ.

174. „საბჭოთა კომპოზიტორების საბინაო პირობების გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ოქტომბრის 2-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

175. ა/კსფსრ-ის კოლექტიურ მეურნეობებში თესლთბრუნვის შემოღების მსვლელობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

176, ა/კსფსრ-ში სადაზღვეო მუშაობის გარდაქმნის შედეგების შესახებ.

177. ა/კსფსრ-ში 1933 წელს თივის თიბვის კამპანიის შედეგებისა და სასილოსო კამპანიის მსვლელობის შესახებ.

178. „სასოფლო-სამეურნეო ბანკის ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კონტორების მუშაობის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 16-სა და ივლისის 10-ის დადგენილებების აღსრულების შესახებ.

157

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

169. შრომის საგზაო ბეგარის დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომის საგზაო ბეგარის დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 148 და 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 16 და 17) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-6, 8, 12, 12¹, 14 და 16 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. საგზაო მუშაობაში შრომითი მონაწილეობა (მე-3 მუხლის „ა" პუნქტი) საოპერაციო წლის განმავლობაში, რაც თითო ბეგარავალდებულ პირზე მოდის, არ შეიძლება აღემატებოდეს შვიდი დღის სამუშაო დატვირთვას საგანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით".

„8. შრომის საგზაო ბეგარაში მონაწილეობის მისაღებად—საგზაო ორგანოებისათვის მუშა-საქონლისა, საჭირო ჭაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებათა და ინვენტარის (მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი) გადაცემის სახით—გაიწვევა ყველა კოლექტიური და ინდივიდუალური მეურნეობა და აგრეთვე კერძო სავაჭრო, სამრეწველო და სხვა საწარმო, რომელიც ფაქტიურად სარგებლობს სათანადო გზებს".

„12. შრომის საგზაო ბეგარა—საგზაო მუშაობისათვის მუშა-საქონლისა და საჭირო ჭაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებათა და ინვენტარის გადაცემის სახით (მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი)—არ შეიძლება აღემატებოდეს საოპერაციო წლის განმავლობაში 15 დღეს თვითეულ წყვილ მუშა-საქონელზე, საგანაკვეთო დებულების ნორმების თანახმად გამოანგარიშებული დატვირთვის მიხედვით".

„12¹. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობა (კულაკური), და ის პირი, რომელიც ამ მეურნეობაში შედის, აგრეთვე სარეწაო გადასახადით დაბეგრილი კერძო საწარმო და საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგის კვალობაზე დაბეგრილი პირი გაიწვევა შრომის საგზაო ბეგარაზე საზიდავ-დღეთა ნორმების მიხედვით, რაც გადიდებულ უნდა იქნეს 50 პროცენტით დანარჩენი მოსახლეობისა და მეურნეობებისათვის დადგენილ ნორმებთან შედარებით (მე-6 და 1^ მუხ.)".

„14. კერძო სამრეწველო და სავაჭრო საწარმო და აგრეთვე კულაკური მეურნეობა გაიწვევა შრომის საგზაო ბეგარაზე—საგზაო ორგანოებისათვის მუშა-საქონლისა და ჭაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებათა და ინვენტარის გადაცემის სახით (მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი)—როგორც მაშინ, როდესაც მას ჰყავს საკუთარი მუშა-საქონელი და აქვს ჭაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებანი, ისე უამისოდაც; ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში ეს მოვალეობა მას შეეცვლება ფულად თანხად ამა დებულების მე-16 შუხლში აღნიშნული წესების მიხედვით".

„16. სარეწაო გადასახადით დაბეგრილი კერძო სამრეწველო, სავაჭრო და სხვა საწარმო და სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობა, რომელსაც მუშა საქონელი არა ჰყავს, ნაცვლად შრომის საგზაო ბეგარისა—მუშა-საქონლის და ჭაპანზიდვის სატრასპორტო საშუალებათა მიცემის სახით (მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი), იხდის ფულად თანხას სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ეს ფულადი შესატანი არ შეიძლება აღემატებოდეს 22,5 საზიდავ-დღეთა ფულადი ექვივალენტის რაოდენობას, ჭაპანზიდვის ტრანსპორტის ადგილობრივი საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **დ. ალანია.**

1933 წ. აგვისტოს 17.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

170. სარეწაო კოოპერაციაში შეგირდობის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 26-ის და 1929 წლის ივნისის 10-ის დადგენილებების გაუქმების შესახებ.

„სარეწაო კოოპერაციაში და აგრეთვე არაკოოპერირებულ შინამრეწველებთან და ხელოსნებთან შეგირდობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ივლისის 17-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 47 №-ი, მუხ. 277) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ძალიდაკარგულად ჩაითვალოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 26-ის დადგენილება „სარეწაო კოოპერაციასა და შრომის არტელში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან არსებული შეგირდობის წესების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-ი, მუხ. 100).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნულ, 1933 წლის ივლისის 17-ის, დადგენილებას.

ამერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

171. ნარჩენთა გადახდევინებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვის შესახებ.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა. ნარჩენთა გადახდევინებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად შემოღებულ იქნეს პროცენტების დარიცხვისა და გადარცხვის შემდეგი წესი:

1. უკეთუ ნარჩენი უნდა გადახდეს განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას ან საგადასახადო ნარჩენი უნდა გადახდეს (ქონების იძულებითი ჩამორთმევით) იმ პირს, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება 1-ლი და 1-ა განრიგის თანახმად, დაირიცხება აწერილობის თანხის 1 პროცენტი.

2. უკეთუ ნარჩენი უნდა გადახდეს სხვა კატეგორიების მენარჩენეთ— დაირიცხება ნარჩენის თანხის 5 პროცენტი.

შენიშვნა. უკეთუ ნარჩენი გადახდილ იქნა აწერის შემდეგ, ხოლო გადახდევინების შემდგომ ღონისძიებათა შეფარდებამდე, მე 2 მუხლში აღნიშნული კატეგორიების მენარჩენეთ დანარიცხის რაოდენობა შეუმცირდებათ 3 პროცენტამდე.

3. დაეტოვოს საფინანსო ორგანოებს უფლება გადარიცხონ ხოლმე ნარჩენობასთან ბრძოლისათვის 2%-დე მხოლოდ იმ ნარჩენთა თანხებიდან, რაც იძუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებითი წესით (აწერილობა, გაყიდვა და სხვა მისთ.) რეალურად გადახდა კერძო სექტორს გადასახადზე.

ბ. მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და მიაწოდოს სახელმძღვანელოდ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს სპეციალური წესები ამა დადგენილებაში აღნიშნულ სახსართა ხარჯვის წესის შესახებ.

გ. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლაკების მთავრობათ—შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

172. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებისათვის 27 მუხლის „ი“ პუნქტისა და 56[1], 56[2], 56[3], 56[4] და 56[5] მუხლების დამატების შესახებ.

„საკურორტო გამოსაღების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აგვისტოს 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 53 №-ი, მუხ. 307) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებას (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697) დაემატოს 27 მუხლის „ი“ პუნქტი და 56[1], 56[2], 56[3], 56[4] და 56[5] მუხლები შემდეგი შინაარსისა:

(27. ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შემოიღონ და აკრიფონ ადგილობრივ სახსართა გასაძლიერებლად შემდგი გადასახადი და გამოსაღები: . . .)

„ი) საკურორტო გამოსაღები (56[1]—56[5] მუხლები)“.

„56[1] საკურორტო გამოსაღები გადახდებათ საკურორტო ადგილებში სამკურნალოდ და დასასვენებლად მისულ მოქალაქეთ სამკურნალო სეზონის განმავლობაში“.

„56². იმ საკურორტო ადგილების ნუსხას, სადაც ნებადართულია საკურორტო გამოსაღების გადახდევინება, აგრეთვე თვითეულ ადგილას საკურორტო გამოსაღების გადახდევინების დაწყებისა და დამთავრების ვადებს განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები, იმავე რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით“.

„56³. საკურორტო გამოსაღები გადაიხდევინება 3 მანეთის რაოდენობით„.

„56⁴. საკურორტო გამოსაღები გადაიხდევინება პასპორტის ან პასპორტის სანაცვლო დოკუმენტის ჩაწერის დროს საჩასაწერო გამოსაღების დამოუკიდებლად“.

„56⁵. საკურორტო გამოსაღებისაგან განთავისუფლებულ არიან: საკადრო მერიგეთა შედგენილობის სამხედრომსახურნი (გრძელვადიან შვებულებაში მყოფთ გარდა) და თავიანთი მდგომარეობით მათთან გათანაბრებული პირნი, აგრეთვე მათი ოჯახის წევრნი და ის მუშა-მოსამსახურენი, რომელთა თვიური სამუშაო საშოვარი 100 მან. არ აღემატება, აგრეთვე მათი ოჯახის წევრნი“.

II. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაადგინონ საკურორტო ადგილების ზედმიწევნითი სია.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

173. ა/კსფსრ-ის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის საჭირო დახმარების ფონდების დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ-ის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის საჭირო დახმარების ფონდების დებულების მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ ა) სარეწაო კოოპერაციის სოფლად მყოფი ყველა ადგილობრივი ორგანიზაციისა და იმავე კოოპერაციის ყველა სარაიონო და საოლქო კავშირის წმინდა მოგებიდან 5%-ის რაოდენობით გადადებული ანარიცხებისაგან, დაწყებული 1932 საანგარიშო წლის ბალანსით.“

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

174. „საბჭოთა კომპოზიტორების საბინაო პირობების გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ოქტომბრის 2-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ა/კსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ოქტომბრის 1-ის დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 შენიშვნა (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-19 №-ი, მუხ. 208) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ **შენიშვნა 2.** ქირა მთლად იმ საცხოვრებელი ფართობისათვის (ძირითადი და დამატებითი), რაც უჭირავთ სამეცნიერო მომუშავეთ და

აგრეთვე საბჭოთა მწერლების კავშირის წევრებად მყოფ მწერლებს და საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის წევრებად მყოფ კომპოზიტორებს, ამ ფართობის სივრცის დამოუკიდებლად, გადაიხდევინება ერთმაგი რაოდენობით".

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

175. ა/კსფსრ-ის კოლექტიურ მეურნეობებში თესლთბრუნვის შემოღების მსვლელობის შესახებ.

მიუხედავად სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მთელ რიგ გადაწყვეტილებებისა—ა/კსფსრ-ის კოლექტიურ მეურნეობებში თესლთბრუნვის შემოღების შესახებ,—მაინც ეს საქმე აქამდე მხოლოდ ა/კსფსრ-ის და რესპუბლიკების საადგილმამულო ორგანოების ცენტრალური აპარატების მიერ დამუშავების სტადიაშია, რაც იმით აიხსნება, რომ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ და ხელმძღვანელობას არ უწევენ ამ უაღრესი მნიშნელობის მქონე ღონისძიებას მოსავლიანობის გადიდებისას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ კოლექტიურ მეურნეობებში თესლთბრუნვის შემოღების საკითხის დამუშავება მიმდინარეობს უგეგმოდ, თესლთბრუნვის შემოღების შედეგებისა და მეორე ხუთწლედის საწარმოო ამოცანების ერთიერთმანეთზე დაუკავშირებლად და ამ საქმეში თვით კოლმეურნეებისა და რაიონული ორგანიზაციების ჩაუბმელად.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა როდი უზრუნველჰყვეს ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობა ადგილებზე თესლთბრუნვის შემოღებისათვის და შემოღებული თესლთბრუნვის შემოწმებისა და დამყარებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, სთვლის-რა ასეთ მდგომარეობას ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენად, წინადადებას აძლევს:

1. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეამოწმონ ერთი დეკადის ვადაზე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მუშაობა თესლთბრუნვის შემოღების საქმეში, მისცენ სასტიკ პასუხისგებაში ამ სამუშაოს ჩაშლაში დამნაშავე პირნი, და მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებებით უზრუნველჰყონ მკვეთრი გარდატეხა რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა დარაიონების მუშაობაში—თესლთბრუნვის შემოღებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის ხაზით.

2. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გადაათვალიერონ ორი დეკადის ვადაზე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ რაიონებისათვის მიღებული თესლთბრუნვის ტიპური სქემები, განსაზღვრონ თესლთბრუნვის შემოღების გეგმა და, მასთან დაკავშირებით, კოლექტიურ მეურნეობებში მიწათმოწყობის გეგმა 1934 წლისთვის და გამოჰყონ პირველრიგის რაიონები და ის პირნი, რომელნიც პერსონალურად პასუხისმგებელ იქნებიან მუშაობის მსვლელობისათვის თვითეულ რაიონში ცალკე. დაუყოვნებლივ მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან და რაიონებში (სადაც თესლთბრუნვა შემოიღება) ოპერატიული ჯგუფები, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას კოლექტიურ მეურნეობებში თესლთბრუნვის შემოღებისა და დამყარებისათვის.

3. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ-კომიტეტებსა და რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გააძლიერონ ყურადღება თესლთბრუნვის შემოღების საქმუშაოებისადმი და უზრუნველჰყონ კონტროლისა და სისტემატური ხელმძღვანელობის გაწევა თვითეული იმ კოლექტიური მეურნეობისათვის ცალკე, სადაც სწარმოებს მუშაობა თესლთბრუნვის შემოსაღებად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო განსაკუთრებით აფრთხილებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, რომ საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე და ყურადღება თესლთბრუნვის შემოღების სამუშაოებისადმი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ საქმისადმი სათანადო ყურადღებისა და ხელმძღვანელობის არქონა შეფასებულ იქნება როგორც პარტიისა და მთავრობის მიერ საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის გასადიდებლად მიღებულ, უაღრესი მნიშვნელობის მქონე, ღონისძიებათა ჩაშლა.

4. აღნიშნავს-რა, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები საკმარის ყურადღებას არ აქცევენ, ხოლო ზოგიერთ ადგილას სრულიად უგულვებელჰყოფენ კოლექტიურ მეურნეობებში თესლთბრუნვის შემოღების საქმეს,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს რესპუბლიკების ტრაქტორცენტრებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს,

მათი პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მძღვანებელი როლი კოლექტიურ მეურნეობებში თესლთბრუნვის შემოღებისათვის.

5. კოლექტიურ მეურნეობებში—თესლთბრუნვის შემოღებას ხაზით—საჩვენებელი მუშაობის დაყენებისათვის ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა გამოჰყოს ტექნიკური კულტურების (ბამბა, თამბაქო, შაქრის ჭარხალი) და მეცხოველეობის ძირითადი მძღვანებელი რაიონები და მიიღოს თავისი ოპერატიული მეთვალყურეობის ქვეშ ამ რაიონებში თესლთბრუნვის შემოღებისათვის საკონტროლო ღონისძიებათა ჩატარება.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თავისი მუშაობის პრაქტიკაში უნდა შემოიღოს სისტემატური შემოწმება და კოლეგიაში რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, ცალკეული სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და დიდრონი კოლექტიური მეურნეობების მოხსენებების მოსმენა თესლთბრუნვის შემოღების საკითხებზე და ამმხრივ პირველ რიგში მოცულ უნდა იქნენ: ყაზახისა და ყასუმ-ისმაილის რაიონები და მთის ყარაბაღის ავტ. ოლქი (აზ. სსრ); კურდუქლისა და ლენინაკანის რაიონები (სომხ. სსრ); სიღნაღისა, სტალინისისა, ბორჩალოს და სოხუმის რაიონები (საქ. სსრ).

6. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. დეკემბრის განმავლობაში მოხსენება ყაზახის, კურდუქლის და ბორჩალოს რაიონებში თესლთბრუნვის შემოღებისა და მიწათმოწყობის სამუშაოების მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1933 წ. ნოემბრის 22.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 271 №-ში 1933 წ. ნოემბრის 26-ს

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

176. ა/კსფსრ-ში სადაზღვეო მუშაობის გარდაქმნის შედეგების შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო დაზღვევის ამიერკავკასიის სამმართველოს მოხსენებანი ა/კსფსრ-ში სადაზღვეო მუშაობის გარდაქმნის შედეგების შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბ-

ჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ სადაზღვეო მუშაობას აქვს მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი, სახელდობრ:

ა) მთელ რიგ რაიონებში დამზღვევი კომისიები განაგრძობენ უმოქმედობას (ყარიაგის, ვარტაშენის, ყუბის, ზანგელანის, ახალქალაქის, ქვემო-სვანეთისა და სხვა რაიონები); დამზღვევი კომისიები ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეპყრობიან ზარალის თაობაზე გამოტანილი სადაზღვეო აქტების განხილვის შესახები სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების აღსრულებას (კაფანის, კეშიშკენდის, სისიანის და სხვა რაიონები);

ბ) პროკურატურა და სასამართლო ორგანოები, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 29-ის დაოგენილების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ აქცევენ ყურადღებას სახელმწიფო დაზღვევის საქმეს სოფლად და სასტიკ პასუხისგებაში არ აძლევენ დამნაშავეთ (გოგჩის და ალავედდის რაიონები, აფხაზეთი და სხვ.);

გ) გამოაშკარავებული ბოროტმოქმედებანი (გოგჩის, ბელაქნის, ორდუბათის და სხვა რაიონები) მოწმობენ, რომ, მიუხედავად სადაზღვეო აპარატის შემოწმებისა (1933 წლის აპრილ-მაისში), მასში ბევრი ურევია, განსაკუთრებით აზებაიჯანის სსრ-ის მთელ რიგ რაიონებში, უვარგისი და დანაშაულებრივი ელემენტები; ამის გარდა, მთელი რიგი სარაიონო სადაზღვეო ინსპექციები დაკომპლექტებული არ არიან საკმაოდ კვალიფიცირებული მომუშავეებით;

დ) ა/კსფსრ შედგენილობაში შეშავალ არც ერთ რესპუბლიკაში აქამდე შესრულებული არ არის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. აგვისტოს 29-ის დადგენილება და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 29-სა და სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 23-ის დადგენილებანი უკანონოდ დახარჯული, სადაზღვეო სახსარიდან გადადებული 10%-იანი ანარიცხის აღდგენის შესახებ;

ე) მე-III კვარტალში სადაზღვეო გადასახდელთა შემოსვლის საკონტროლო ციფრების წარმატებით შესრულების შემდეგ თვალსაჩინოდ შემცირდა მე-IV კვარტალში გადასახდელთა შეგროვება და საკონტროლო ციფრის აღსრულება (ოქტომბრის 20-თვის იგი შეადგენს მხოლოდ 16,9%-ს);

ვ) საკმარისი აქტიობა არ ეტყობა დამზღვევი კომისიებისა და ინსპექციების მუშაობას დაზღვეული ქონების შემოწმების საქმეში (სადაზღვეო ზედამხედველობის წესით).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, სახალხო კომისრების პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყონ უმოკლეს ვადაზე სადაზღვეო მუშაობის გარდაქმნის შესახებ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 29-ის დადგენილებისა და ამ დადგენილების მომდევნო, აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 29-ის და სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 23-ის დადგენილებათა სავსებით აღსრულება.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მიანდონ რესპუბლიკების პროკურორებს—მისცენ სარაიონო სასამართლო ორგანოებს კატეგორიული დირექტივები:

ა) დაამთავრონ ამჟამად წარმოებული ყველა საქმე არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 15-სა და განსაკუთრებით სერიოზულ საქმეებზე ჩაატარონ საჩვენებელი პროცესები (გოგჩა, ბელაქანი და სხვ.);

ბ) სასტიკ პასუხისგებაში აძლიონ დაზღვეული ქონებისადმი უყაირათო და მავნებლურ მოპყრობაში დამნაშავე პირნი და აგრეთვე ის პირნი, ვინც ეწევა საბოტაჟს და არ ასრულებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს სადაზღვეო მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

3. მიიქცეს აზერბაიჯანის სსრ-ის პროკურატურისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის განსაკუთრებული ყურადღება მთელი რიგი პროკურორების (გოგჩისა, ბელაქანისა და სხვა რაიონები) უმოქმედობაზე და სახელმწიფო დაზღვევის შესახები, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილების აღსრულებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ მოპყრობაზე და წინადადება მიეცეს მათ დაამთავრონ უმოკლეს ვადაზე ყველა საქმის განხილვა, დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემით.

4. დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო ქომისარიატს—უზრუნველჰყოს უკანონოდ დახარჯული, სადაზღვეო სახსარიდან გადადებული 10%-იანი ანარიცხის აღდგენა 1933 წ. დეკემბრის 1-თვის.

5. მიიქცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და განსაკუთრებით კი აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყურადღება იმაზე, რომ სრულიად არასაკმარისი დახმარება ეწევა სოფლად სადაზღვეო მუშაობის გარდაქმნისა და გაჯანსაღების საქმეს.

რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულმა აღსრულების შემმოწმებელმა კომისიებმა უნდა მოისმინონ უფრო დიდრონი რაიონების მოხსენებანი სახელმწიფო დაზღვევის სფეროში ჩატარებული მუშაობის შესახებ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სადაზღვეო მუშაობის ყველა ნაკლოვანების სალიკვიდაციოდ.

6. მიიქცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების ყურადღება იმაზე, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელია ტემპები მე-IV კვარტალის საგანაკვეთო სადაზღვეო გადასახდელთა საკანტროლო ციფრების აღსრულებისა და წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—უზრუნველჰყონ მე-IV კვარტალის საკონტროლო ციფრების აღსრულება ა/წ. დეკემბრის 15-თვის.

7. აღინიშნოს, რომ რაიონული და რესპუბლიკანური გაზეთების უმეტესობა და აგრეთვე გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პარტიისა და მთავრობის უაღრესი მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა საფუძ-

ველზე სოფლად სადაზღვეო მუშაობის გარდაქმნის საკითხებს და წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ბეჭდვითს ორგანოებს ფართოდ გააშუქონ ეს საკითხები.

8. მოსმენილ იქნეს 1933 წლის იანვრის 15-ს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება ამა დადგენილების აღსრულების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი ი. ბევცოვი.

1933 წ. ნოემბრის 6.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

177. ა/კსფსრ-ში 1933 წლის თივის თიბვის კამპანიის შედეგებისა და სასილოსო კამპანიის მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა აღსრულების შემმოწმებელმა კომისიამ მოისმინა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოხსენებანი და იგი აღნიშნავს, რომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის ა/წ. აგვისტოს 25-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ მიღებულ მკვეთრ ღონისძიებათა შედეგად ა/კსფსრ-ში თივის თიბვის გეგმა შესრულებულია 99,4%-ით; აქედან: საქართველოს სსრ-ში—100,7%-ით, სომხეთის სსრ-ში—100,0%-ით და აზერბაიჯანის სსრ-ში—98,1%-ით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ დასილოსების გეგმა მთლად ა/კსფსრ-ში შესრულებულია არადამაკმაყოფილებლად—65,9%-ი 1933 წ. ოქტომბრის 20-თვის; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—70,3%, სომხეთის სსრ-ში—70,2% და საქართველოს სსრ-ში—52,6%; კამპანიის დამთავრების ზღვრული ვადა კი ნოემბრის 15-ია. განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან: აზერბაიჯანის სსრ-ში: კელბაჯარის რაიონი, რომელმაც შეასრულა გეგმის მხოლოდ 1,6%, კარიაგინის რაიონი—11,9%, ისმაილის რაიონი—14,5%-ი და ნახიჩევანის ავტ. სსრ—15,1%; სომხეთის სსრ-ში: ვედის რაიონი—10,0%, ლენინაკანის რაიონი—26,7%-ი, მარტუნის რაიონი—28,0% და არტიკის რაიონი—

29,9%-ი; საქართველოს სსრ-ში—სტალინისის რაიონი—5,0%, გორის რაიონი—13,5, აღბულახ-მანგლისის რაიონი—20,7%-ი, კასპის რაიონი—25,0%-ი, გურჯაანის რაიონი—30,6%-ი და თელავის რაიონი—31,3%-ი.

განსაკუთრებითვე ჩამორჩენილია საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სისტემა, სადაც დასილოსების საერთო გეგმა მთლად ა/კსფსრ-ში ნოემბრის 1-თვის შესრულებულია 42,5%-ით; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—24,5%, სომხეთის სსრ-ში—57,2%-ი და საქართველოს—სსრ-ში—49,0%-ი. მეტისმეტად ჩამორჩენილ არიან აზერბაიჯანის სსრ-ის საბჭოთა მეურნეობანი.

ძირითად მიზეზად იმისა, რომ შესრულებულ არ იქნა დასილოსების გეგმა, რომელიც უაღრესი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებაა ზამთრის პერიოდში ოთხფეხი საქონლის საკვებით უზრუნველყოფისათვის, აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მიაჩნია რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისსრიატებისა, სარაიონო საადგილმამულო ორგანოებისა და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სისტემის ტრესტებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ შეუფასებლობა დასილოსებისა—საერთოდ და გარეულ მცენარეთა დასილოსებისა—კერძოდ.

ადგილებზე ვერ მოახერხეს გადაებათ დასილოსების სამუშაოები სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე; არადამაკმაყოფილებლად ჩაიარა ახალ სასილოსო ნაგებობათა მშენებლობამ და ძველ ნაგებობათა რემონტმა: საქართველოს სსრ-ში—ა/წ. სექტემბრის 25 თვის—ორმოების და თხრილების გეგმა შესრულებულია 82,7% ით; სომხეთის სსრ-ში—ორმოებისა და თხრილების გეგმა—100,0% ით, ხოლო სასილოსო დანადგამთა—ნახევარკოშკების გეგმა—21,0%-ით; აზერბაიჯანის სსრ-ში მიმდინარე წლის სექტემბრის 1-თვის: აზერბაიჯანის მეცხოველეობის მეურნეობათა შენაერთების ხაზით—70,9%-ი, ხოლო საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით—100% ი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის განცხადება, რომ მისი წინადადებით რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ გაგზავნილია 29 თანამშრომელი სომხეთისა და აზერბაიჯანის რაიონებში, და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის განცხადება, რომ საბჭოთა მეურნეობებში გაგზავნილია 5 მომუშავე ზამთრისათვის მომზადების გეგმის აღსრულების შესამოწმებლად. დაევალოს წარვლინებულ მომუშავეებს—იხმარონ ყოველი ღონისძიება დასილოსების გეგმის ა/წ. ნოემბრის 20-დე შესრულებისათვის და ზამთარში ოთხფეხი საქონლის საკვებით სავსებით უზრუნველყოფისათვის.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—დაადვან გადასახდელი იმ დამნაშავე პირთ, რომელთაც არ შეასრულეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის ა/წ.

აგვისტოს 25-ის დადგენილება სასილოსო ნაგებობათა და სილოსის საჭრელთა მშენებლობისა და რემონტის ა/წ. სექტემბრის 5-თვის დამთავრების შესახებ.

3. მიღებულ იქნეს ცნობად სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის დადგენილება დასილოსების გეგმის აღსრულებისათვის მიღებულ ღონისძიებათა და უმოქმედობისა და სასილოსო კამპანიის შეუფასებლობისათვის მომუშავეებზე გადასახდელთა დადების შესახებ.

4. მიეთითოს აზერბაიჯანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, რომ მათ არ შეასრულეს ა/კსფსრ სსხალხო კომისართა საბჭოს ა/წ. აგვისტოს 25-ის დადგენილება იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელნიც დამნაშავენი არიან დასილოსებისათვის კადრების მომზადების საქმის ჩაშლაში. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს იხმაროს ღონისძიებანი დასილოსების საქმისათვის ტექნიკოსთა კადრების მოსამზადებლად.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი **ი. პევცოვი.**

1933 წ. ნოემბრის 6.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

178. „სასოფლო-სამეურნეო ბანკის ამიერკავკასიის კონტორისა და რესპუბლიკანური კონტორების მუშაობის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 16-ისა და ივლიაის 10-ის დადგენილებების აღსრულების შესახებ

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკის სისტემამ მე-3 კვარტალში მოახერხა ზოგ-რამ მიღწევათა მოპოება მუშაობის გარდაქმნისათვის ა/წ. აპრილის 27-ის კანონის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 28 №-ი, მუხ. 169).

მაინც აღსრულების შემმოწმებელ კომისიას სასოფლო-სამეურნეო ბანკის სისტემის მიღწევები მუშაობის გარდაქმნის საქმეში მიაჩნია ჯერ კიდევ არასაკმარისად და იგი აღნიშნავს:

ა) რომ კონტორები საკმაოდ არ იბრძვიან, რათა სას.-სამ. ტრესტებმა თავის დროზე მიაწოდონ თავიანთ საწარმოთ დამტკიცებული სამუშაო ხელფასის ფონდები და განასსიგნონ კვარტალური კრედიტები;

ბ) რომ კონტორები არ ამოწმებენ, რამდენად შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო ტრესტების მიერ თავიანთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთათვის მიწოდებული სამუშაო ხელფასის ფონდები მთლად ტრესტისათვის დამტკიცებულ სამუშაო ხელფასის რაოდენობას;

გ) რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკის კონტორები და ფილიალები საკმაოდ არ ებრძვიან დამტკიცებული ფასების ბოროტულად დამრღვევთ;

დ) რომ სუსტად არის გამოკვლევებით მოცული მშენებლობა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში და ამის გამო არა საწარმოებს საკმარისი ბრძოლა გეგმაგარეშე და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობასთან;

ე) რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელია მუშაობა სახელმწიფო ბანკის ფილიალებისა, რომელნიც ანხორციელებენ სასოფლო მეურნეობის სახელმწიფო სექტორის დაფინანსებას (გარეკახეთი, კუბა, აგდამი და სხვ.); სასოფლო-სამეურნეო ტრესტებისა და მათ საწარმოთა უმეტესობა უდგენენ ბანკს კაპიტალდაბანდებათა ანგარიშგებას (საბალანსოს და ოპერატიულს) დიდის დაგვიანებით და დიდის დეფექტებით;

ვ) რომ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და საქართველოში, მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო ტრესტებს აქვთ მშენებლობის ობიექტები, 1933 წლის სატიტულო სიებში შეტანილი, რომელთაც აქამდე დამტკიცებული პროექტები არ მოეპოვებათ, განსაკუთრებით საჩაიე ფაბრიკების სადამკვრელო მშენებლობისა;

ზ) რომ ბანკის ოპერაციების ნორმალურად წარმოებაზე მე-3 კვარტალის განმალობაში უარყოფითი გავლენა იქონია, განსაკუთრებით აზერბაიჯანში, ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ფილიალებისა და საინსპექტორო პუნქტების აპარატის მომუშავეთა მობილიზაციისა და და სხვა სამუშაოზე წარგზავნის პრაქტიკამ, რაც აქამდე გრძელდება (აზერბაიჯანის სსრ-ში: ნახიჩევანი, ყაზახი, ლენქორანი, კარიაგინო, შამხორი, შემახა, ბარდა, აღდაში და ნუხა და სომხეთის სსრ-ში: ვაგარშაფათი, დელიჯანი, ყურდუქლი და სტეფანავანი).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას — უზრუნველჰყოს ა წ. მე-IV კვარტალში საბოლოო დამთავრება მუშაობის გარდაქმნისა აპრილის 27-ის კანონის შესაბამისად და გააძლიეროს ბრძოლა დაწესებული ფასების ბოროტულად დამრღვევებთან, გეგმაგარეშე და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობასთან და სასოფლო-სამეურნეო ტრესტების მიერ სამუშაო ხელფასის ფონდების არათავისდროზე მიწოდებასა და კრედიტების განასსიგვნასთან.

2. მიექცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ყურადღება იგზაზე, რომ შეუწყნარებელია საწარმოო კრედიტების მექანიკური განაწილება

კოლექტიურ მეურნეობებს შორის და კრედიტების დაქუცმაცების (დაწვრილმანების) შემთხვევები, რამაც თავი იჩინა.

3. დაევალოს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას—უზრუნველჰყოს სასოფლო მეურნეობის სახელმწიფო სექტორის ნორმალური დაფინანსება სახელმწიფო ბანკის ფილიალების მიერ, რომელნიც ასრულებენ სას.-სამ. ბანკის ოპერაციებს, სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო ბანკის გამგეობის 1933 წლის მაისის 21-სა და აგვისტოს 13-ის დადგენილებათა საფუძველზე.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაშს შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ რესპუბლიკების პროკურორებს—დაამყარონ წესი იმ საქმეების სასწრაფო განხილვისა, რასაც სპეციალური ბანკები წარმართავენ დამტკიცებული ფასების ბოროტეულად დამრღვევთა შესახებ.

5. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—დაადვან გადასახდელი იმ სასოფლო-სამეურნეო ტრესტების ხელმძღვანელთ, რომელთაც როდი უზრუნველჰყვეს მშენებლობის ობიექტები ხარჯთაღრიცხვებით და დაავალონ მათ—უზრუნველჰყონ უმოკლეს ვადაზე 1933 წლის სატიტულო სიებში შეტანილი ყველა ობიექტი პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი ი. პევცოვი.

1933 წ. ნოემბრის 6.
ტფილისი.

მთავლიტი № A-98. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 838. ტირაჟი 800.

ЗАКГИЗ